

სოციალური სამართლიანობის ცენტრი

დამოუკიდებელი აუდიტორების დასკვნა

2020

სოციალური სამართლიანობის ცენტრი

ფინანსური ანგარიშგება
2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
და
დამოუკიდებელი აუდიტორების დასკვნა

სარჩევი

	გვერდი
მენეჯმენტის პასუხისმგებლობის განსაზღვრა	3
დამოუკიდებელი აუდიტორების დასკვნა	4
ფინანსური ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	6
საქმიანობის შედეგების ანგარიშგება	7
წმინდა აქტივებში ცვლილებების ანგარიშგება	8
ფუნქციონალური ხარჯების ანგარიშგება	9
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება	10
ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები	11 - 20

მენეჯმენტის პასუხისმგებლობის განსაზღვრა

თანდართულ ფინანსურ ანგარიშგებაზე პასუხისმგებელია სოციალური სამართლიანობის ცენტრის (შემდგომში „ორგანიზაცია“) ხელმძღვანელობა.

ეს პასუხისმგებლობა მოიცავს:

- ფინანსური ანგარიშგების მომზადებას არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების ფინანსური ანგარიშგების სტანდარტის (ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის უფროსის ბრძანება №9) შესაბამისად;
- ფინანსური აღრიცხვის შესაფერისი პოლიტიკების შერჩევასა და მათ გამოყენებას;
- დასაბუთებული და წინდახედული სააღრიცხვო შეფასებების გაკეთებას.

მენეჯმენტი აგრეთვე პასუხისმგებელია:

- შექმნას, დანერგოს და შეინარჩუნოს შიდა კონტროლის ეფექტური სისტემა;
- აწარმოოს ადგილობრივი კანონმდებლობის შესაბამისი სააღრიცხვო ჩანაწერები;
- მიიღოს მისთვის გონივრულობის ფარგლებში ხელმისაწვდომი ყველა ზომა, რომ დაიცვას ორგანიზაციის აქტივები;
- თავიდან აიცილოს და აღმოფხვრას თაღლითობა; სხვა შეუსაბამოებები და დარღვევები.

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია ორგანიზაციის ხელმძღვანელობის მიერ და ხელმოწერილია 2021 წლის 3 აგვისტოს:



თამთა მიქელაძე

დირექტორი

სოციალური სამართლიანობის ცენტრი



მედეა ჟღენტი

ფინანსური მენეჯერი

სოციალური სამართლიანობის ცენტრი

დამოუკიდებელი აუდიტორების დასკვნა

სოციალური სამართლიანობის ცენტრი
ი.აბაშიძის ქუჩა #12 ა
თბილისი, საქართველო

მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ სოციალური სამართლიანობის ცენტრის (შემდგომში „ორგანიზაცია“) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე საქმიანობის შედეგების ანგარიშგებას, ფუნქციონალური ხარჯების ანგარიშგებასა და ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებას წლისათვის, რომელიც დასრულდა აღნიშნული თარიღით, აგრეთვე ახსნა-განმარტებით შენიშვნებს, მათ შორის მნიშვნელოვან სააღრიცხვო პოლიტიკებზე.

ჩვენი აზრით, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს ორგანიზაციის ფინანსურ მდგომარეობას 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების ფინანსური ანგარიშგების სტანდარტის (ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის უფროსის ბრძანება №-9) შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს-ების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის - *“აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე”* - ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებლობი ვართ ორგანიზაციისაგან იმ ეთიკური ნორმების შესაბამისად, რომლებიც ეხება ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტს საქართველოში; გარდა ამისა, შევასრულეთ ამ ნორმებით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისი საფუძველია ჩვენი აუდიტისათვის.

მენეჯმენტისა და მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

მენეჯმენტი პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების ფინანსური ანგარიშგების სტანდარტის (ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის უფროსის ბრძანება №-9) შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას მენეჯმენტს ევალება, შეაფასოს ორგანიზაციის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძველად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან დაკავშირებული საკითხები, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მენეჯმენტს განზრახული აქვს ორგანიზაციის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილი პირები პასუხისმგებელი არიან ორგანიზაციის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

დამოუკიდებელი აუდიტორების დასკვნა (გაგრძელება)

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის შესახებ, რომ წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება არ შეიცავს არსებით უზუსტობას, მათ შორის გამოწვეულს თაღლითობით ან შეცდომით, და გავცეთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს არსებულ ნებისმიერ არსებით უზუსტობას. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა თუკი გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს მომხმარებლის მიერ ფინანსური ანგარიშგების გამოყენების საფუძველზე მიღებულ ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტის პროცესში აუდიტორის მიერ პროფესიული მსჯელობის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას. გარდა ამისა, ჩვენი:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და მოვიპოვებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ ორგანიზაციის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ მენეჯმენტის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, მენეჯმენტის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს მენეჯმენტის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ექვს გამოიწვევდა ორგანიზაციის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება ორგანიზაცია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურას, მის შინაარსს და ახსნა-განმარტებით შენიშვნებს. ამასთან ვაფასებთ, ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციები და მოვლენები უზრუნველყოფენ თუ არა ფინანსური ანგარიშგების სამართლიან წარდგენას.

მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირებს, სხვასთან ერთად, ვაწვდით ინფორმაციას აუდიტის დაგეგმილი მასშტაბის, ვადებისა და ასევე, აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

მიხეილ აბაიაძე / სერტიფიცირებული აუდიტორი / პარტნიორი

ფირმის რეგისტრაციის ნომერი: SARAS-F-320544

აუდიტორის რეგისტრაციის ნომერი: SARAS-A-865011

აგვისტო 03, 2021

თბილისი, საქართველო



ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

აქტივები	შენიშვნა	31-დეკ-2020	31-დეკ-2019
მიმდინარე აქტივები			
ნაღდი ფული და ბანკი	3	369,858	787,331
მისაღები გრანტები	4	1,190,400	1,322,557
საგადასახადო აქტივები		6,031	4,872
მარაგები		19,239	17,567
სულ მიმდინარე აქტივები		1,585,528	2,132,326
ძირითადი საშუალებები	5	38,407	37,838
არამატერიალური აქტივები		10,515	13,144
სულ გრძელვადიანი აქტივები		48,922	50,982
სულ აქტივები		1,634,450	2,183,308
ვალდებულებები და წმინდა აქტივები			
მიმდინარე ვალდებულებები			
მოკლევადიანი ვალდებულებები		1,165	8,189
ვალდებულება დონორის მიმართ		1,843	17,402
გადავადებული შემოსავალი	6; 7	1,518,803	2,094,373
სულ მიმდინარე ვალდებულებები		1,521,811	2,119,963
შეუზღუდავი წმინდა აქტივები		190,776	98,635
დროებით შეზღუდული წმინდა აქტივები		(78,137)	(35,291)
სულ წმინდა აქტივები		112,639	63,345
სულ ვალდებულებები და დროებით შეზღუდული წმინდა აქტივები		1,634,450	2,183,308


ფინანსური ანგარიშგება თანდართული შენიშვნების ჩათვლით დამტკიცებული და ხელმოწერილია 2021 წლის 3 აგვისტოს:



თამთა მიქელაძე

დირექტორი

სოციალური სამართლიანობის ცენტრი



მედეა ჭლენტი

ფინანსური მენეჯერი

სოციალური სამართლიანობის ცენტრი

სოციალური სამართლიანობის ცენტრი
ფინანსური ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
თანხები მოცემულია ლარებში

საქმიანობის შედეგების ანგარიშგება

ცვლილებები წმინდა აქტივებში	შეუზღუდავი წმინდა აქტივები	დროებით შეზღუდული წმინდა აქტივები	2020 წელი	2019 წელი
შემოსავალი				
OSF- OR2018-45437	-	358,251	358,251	342,176
RFSU-4401-040301-1801	-	313,200	313,200	299,255
EU- ENI/2018/395-919	-	218,957	218,957	475,296
SWISS	-	200,752	200,752	32,463
OSGF20961	-	193,894	193,894	5,644
OSGF20905	-	109,013	109,013	67,024
BOELL CC:12421005	-	105,891	105,891	75,999
DUTCH-AVT16/BZ/120646B	-	67,183	67,183	-
IDFI - 202000701-02	-	24,351	24,351	-
PROLoG1696	-	69,832	69,832	-
OSGF21064	-	62,609	62,609	-
GYLA	-	48,590	48,590	8,874
OSGF21056	-	46,852	46,852	-
PROLoG1736	-	45,435	45,435	-
UNDP - 00095571	-	29,692	29,692	-
OSGF - LDD/33/20-21140	-	27,027	27,027	-
CTC_Platt_020_002	-	15,014	15,014	-
NDI	-	14,488	14,488	12,684
BOELL CC:12425017	-	12,971	12,971	-
IPHR OR2020-74791	-	1,876	1,876	-
DUTCH-AVT16/BZ/120646B	-	-	-	246,504
OSGF-MED/13/18-20839	-	-	-	194,660
OSF- OR2018-41038	-	-	-	147,317
OSGF-NINT/07/18-20827	-	-	-	64,490
USAID (Prolog)	-	-	-	54,402
EPD/SUB-EMC/2018-01	-	-	-	53,814
OSGF-EINT/07/18-20830	-	-	-	46,922
USAID (ACCESS)	-	-	-	42,427
PHR Sub-Grants	-	-	-	38,832
OSGF-HR/02/18- 20771	-	-	-	32,785
EIDHR	-	-	-	23,388
შემოსავალი შემოწირულობიდან	92,141	-	92,141	86,536
სულ შემოსავალი	92,141	1,965,878	2,058,019	2,351,493
ხარჯები				
ადმინისტრაციული და საოპერაციო ხარჯები	-	(1,944,564)	(1,944,564)	(2,354,462)
წმინდა შედეგი საკუროს სხვაობებიდან	-	(64,160)	(64,160)	15,162
სულ ხარჯები	-	(2,008,724)	(2,008,724)	(2,339,297)
ზრდა/ (შემცირება) წმინდა აქტივებში	92,141	(42,846)	49,295	12,195
წმინდა აქტივები წლის დასაწყისში	98,635	(35,291)	63,344	51,150
წმინდა აქტივები წლის ბოლოს	190,776	(78,137)	112,639	63,345
დროებით შეზღუდული წმინდა აქტივები	-	(78,137)	(78,137)	(35,291)
შეუზღუდავი წმინდა აქტივები	190,776	-	190,776	98,636
სულ წმინდა აქტივები	190,776	(78,137)	112,639	63,345

ფინანსური ანგარიშგება თანდართული შენიშვნების ჩათვლით დამტკიცებული და ხელმოწერილია 2021 წლის 3 აგვისტოს:

თამთა მიქელაძე

დირექტორი

სოციალური სამართლიანობის ცენტრი

მედეა ჟღენტი

ფინანსური მენეჯერი

სოციალური სამართლიანობის ცენტრი

წმინდა აქტივებში ცვლილებების ანგარიშგება

	შეუზღუდავი წმინდა აქტივები	დროებით შეზღუდული წმინდა აქტივები	სულ
2018 წლის 31 დეკემბრის ნაშთი	12,100	39,050	51,150
გრანტები	-	2,264,956	2,264,956
შემოწირულობები	86,535	-	86,535
ხარჯების დაფინანსება	-	(2,339,296)	(2,339,296)
2019 წლის 31 დეკემბრის ნაშთი	98,635	(35,290)	63,345
გრანტები	-	1,965,878	1,965,878
შემოწირულობები	92,141	-	92,141
ხარჯების დაფინანსება	-	(2,008,725)	(2,008,725)
2020 წლის 31 დეკემბრის ნაშთი	190,776	(78,137)	112,639

ფინანსური ანგარიშგება თანდართული შენიშვნების ჩათვლით დამტკიცებული და ხელმოწერილია 2021 წლის 3 აგვისტოს:



თამთა მიქელაძე

დირექტორი

სოციალური სამართლიანობის ცენტრი



მედეა ჟდენტ

ფინანსური მენეჯერი

სოციალური სამართლიანობის ცენტრი

სოციალური სამართლიანობის ცენტრი
ფინანსური ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
თანხები მოცემულია ლარებში

ფუნქციონალური ხარჯების ანგარიშგება

დასახელება	OSF_454 37	RFSU_4 401	SWISS	OSGF_20961	EU_395 _919	OSGF_20905	BOELL 1242101	DUTCH_ AVT16	PROLo G -1696	OSGF_2 1064	Gyla	OSGF_21056	PROLo G -1736	UNDP	OSGF_2 1140	IDFI	NDI	BOELL (sm.gr)	CTC	IPHR	საკუთარი ფონდები	სულ ხარჯები 2020	სულ ხარჯები 2019
შრომის ანაზღაურება	185,549	101,584	122,515	101,129	44,938	58,188	29,821	25,642	46,696	35,850	20,336	32,260	35,478	20,710	22,844	23,339	6,091	1,410	9,830	1,628	80,023	1,005,861	966,739
გაწეული მომსახურება და შეძენილი საქონელი	67,942	111,823	35,188	8,880	20,823	15,368	50,585	14,220	1,525	5,262	8,886	2,001	191	2,797	-	-	4,266	8,567	-	-	652	358,976	368,070
ოფისის ქირა	12,487	19,000	12,044	4,654	11,373	5,224	6,000	5,500	5,679	371	-	1,954	3,459	-	3,472	-	100	-	-	-	-	91,317	67,767
კომუნიკაციისა და კომუნალური ხარჯი	13,419	18,880	3,228	4,909	6,511	2,398	1,662	626	2,157	1,618	-	4,046	837	1,812	-	-	204	99	-	-	2,985	65,391	39,551
კვლევის ხარჯი	-	-	-	48,091	-	4,082	-	-	-	-	8,929	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	61,102	-
კონფერენცია და ტრენინგი	3,508	2,995	7,543	2,833	16,152	370	1,726	4,121	50	-	-	-	-	-	-	-	70	-	-	-	-	39,368	129,286
თარგმნის ხარჯი	-	2,410	2,887	4,891	-	3,392	2,463	7,759	1,230	-	7,649	-	1,147	-	-	-	352	2,486	-	-	-	36,666	14,576
ტრანსპორტირება	1,465	4,402	2,670	562	4,841	6,075	1,812	700	1,244	1,404	-	549	326	213	-	-	260	-	-	160	1,454	28,137	84,648
საპენსიო ხარჯი	4,975	4,231	3,235	2,337	1,257	1,653	1,326	940	1,027	787	864	723	755	464	460	425	259	236	197	33	1,673	27,857	25,771
დაზღვევის ხარჯი	1,357	8,296	4,710	1,625	214	962	1,117	482	1,383	510	107	1,568	936	-	148	161	-	-	-	-	2,327	25,903	12,375
გამოცემის ხარჯი	900	12,610	-	-	5,994	-	3,780	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	23,284	43,606
სასტუმრო და მივლინება	-	2,881	4,893	591	-	8,124	-	3,192	1,966	463	-	310	-	47	-	-	14	-	-	41	81	22,603	59,805
ცვეთა და ამორტიზაცია	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	13,310	13,310	12,863
ოფისის ხარჯი	147	2,500	125	909	1,107	189	-	-	-	-	-	-	-	-	12	-	-	-	-	-	640	5,629	7,453
საკანცელარიო ხარჯი	1,638	300	312	376	804	-	-	-	-	-	129	45	-	1,775	-	-	-	-	-	-	-	5,379	9,831
ბანკის საკომისიო	148	252	290	131	85	175	975	93	123	60	24	36	61	15	19	23	17	25	11	5	206	2,774	3,401
სხვა ხარჯი	52,322	22,508	1,785	788	9,447	2,654	313	1,038	504	15,292	1,237	150	-	-	36	-	3,257	-	-	-	19,676	131,007	508,720
სულ ხარჯები	345,857	314,671	201,424	182,706	123,228	108,853	101,580	64,312	63,585	61,616	48,161	43,642	43,192	27,832	26,991	23,947	14,892	12,822	10,037	1,866	123,027	1,944,564	2,354,462


ფინანსური ანგარიშგება თანდართული შენიშვნების ჩათვლით დამტკიცებული და ხელმოწერილია 2021 წლის 3 აგვისტოს:



თამთა მიქელაძე

დირექტორი

სოციალური სამართლიანობის ცენტრი



მედეა ქლენტი

ფინანსური მენეჯერი

სოციალური სამართლიანობის ცენტრი

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება


	2020	2019
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან		
საგრანტო დაფინანსებით მიღებული ფულადი სახსრები	1,416,530	1,896,949
შემოწირულობები	92,141	85,535
ქვე-გრანტიორებისთვის გადახდილი ავანსები	(49,981)	(258,924)
თანამშრომლებზე გადახდილი ხელფასები	(864,439)	(744,286)
მიღებული მომსახურება და შეძენილი საქონელი	(318,408)	(322,652)
გადახდილი გადასახადები	(296,489)	(290,687)
კონფერენციებისა და ტრენინგების ჩასატარებლად გადახდილი თანხები	(27,116)	(106,885)
იჯარის ხარჯი	(71,501)	(54,395)
ოფისის ხარჯი	(110,073)	(104,313)
ტრანსპორტირებისთვის გადახდილი თანხები	(20,422)	(58,810)
წიგნებისთვის და პუბლიკაციებისთვის გადახდილი თანხები	(26,565)	(54,427)
მივლინების ხარჯებისთვის გაწეული ფულადი სახსრები	(32,009)	(55,563)
საპენსიო ხარჯი	(55,909)	(53,027)
გადახდილი ჰონორარები	(1,990)	(28,765)
საბანკო ხარჯი	(2,772)	(3,400)
სხვა ხარჯები	(63,400)	(49,545)
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	(432,403)	(203,195)
ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების შეძენა	(11,326)	(23,024)
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	(11,326)	(23,024)
ფულადი სახსრების და მათი ექვივალენტების წმინდა ზრდა	(443,730)	(226,219)
კურსთაშორისი სხვაობიდან მიღებული მოგება/(ზარალი)	26,255	(16,074)
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	787,333	1,029,624
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის	369,858	787,331

ფინანსური ანგარიშგება თანდართული შენიშვნების ჩათვლით დამტკიცებული და ხელმოწერილია 2021 წლის 3 აგვისტოს:


თამთა მიქელაძე

დირექტორი

სოციალური სამართლიანობის ცენტრი


მედეა ჟენტო

ფინანსური მენეჯერი

სოციალური სამართლიანობის ცენტრი

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

შენიშვნა 1: ორგანიზაციის შესახებ

სოციალური სამართლიანობის ცენტრი (ყოფილი „ადამიანების უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი“, ორგანიზაციამ შეიცვალა სახელი და ეწოდება „სოციალური სამართლიანობის ცენტრი“ 2021 წლის 1-ლი იანვრიდან) არის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი (ს/კ 404432565), წევრობაზე დაფუძნებული ორგანიზაცია, რომელიც აერთიანებს სხვადასხვა პროფესიული ისტორიის მქონე ადამიანის უფლებათა და სამოქალაქო აქტივისტებს. ცენტრი წარმოადგენს აქტივისტებისა და უფლება დამცველთა ღია პლატფორმას, ერთგვარ რესურსს, რომლის გამოყენების შესაძლებლობა აქვს ყველა მსურველს, ვინც იზიარებს სოციალური სამართლიანობის ცენტრის მიერ დეკლარირებულ ღირებულებებს.

მისი დაარსების დღიდან (2012 წლის 28 ნოემბერი) სოციალური სამართლიანობის ცენტრი მუშაობს მოწყვლადი და დისკრიმინირებული ჯგუფების უფლებების დაცვის, სამართალდამცავი ორგანოების სისტემური რეფორმირების, სტრუქტურული ძალადობისა და სოციალური ჩაგვრის აღმოფხვრის საკითხებზე. ორგანიზაციის ძირითადი ბენეფიციარები არიან სოციალურად დაუცველი უსახლკარო პირები, მძიმე სამუშაო პირობებში დასაქმებულები, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები, ლგბტ და რელიგიური ჯგუფები. თავის საქმიანობაში სოციალური სამართლიანობის ცენტრი იყენებს კვლევის, მონიტორინგის, ადვოკატირებისა და ცნობიერების ამაღლების ინსტრუმენტებს.

აღნიშნულ თემატიკაზე სოციალური სამართლიანობის ცენტრი ოთხი ძირითადი პროგრამული მიმართულებით მუშაობს:

- კრიტიკული პოლიტიკისა და სოლიდარობის პლატფორმა;
- თანასწორობის პოლიტიკის პროგრამა;
- მართლმსაჯულების და დემოკრატიის პროგრამა;
- სოციალური პოლიტიკის პროგრამა.

ცენტრის ორგანიზაციული სტრუქტურა ჰორიზონტალურია და მას სამი პროგრამის დირექტორი კოლეგიურად, თანამშრომლების აქტიური მონაწილეობით, მართავს. ორგანიზაციისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე საკითხების გადაწყვეტა სოციალური სამართლიანობის ცენტრის გუნდური კონსენსუსის გზით ხდება.

აგრეთვე, სოციალური სამართლიანობის ცენტრის საქმიანობის ერთ-ერთი პრიორიტეტია ახალგაზრდა სამოქალაქო აქტივისტების პლატფორმის მხარდაჭერა, რომელიც მიზნად ისახავს ალტერნატიული სააზროვნო სივრცის შექმნასა და სტუდენტებისა და აქტივისტთა ორგანიზებული ჯგუფების მხარდაჭერას.

ამჟამად ორგანიზაცია აერთიანებს იურისტებით, სოციოლოგებით, ჟურნალისტებითა და გენდერის სპეციალისტებით დაკომპლექტებულ 31-კაციან გუნდსა და კიდევ სხვა პროფესიის მქონე არაერთ კონტრიბუტორს, რომელთა ერთობლივი მუშაობაც მიმართულია სოციალური სამართლიანობის ცენტრის მისიაში დეკლარირებული მიზნების შესრულებისაკენ.

2018 წლის 15 ოქტომბერს გაფორმდა საგრანტო ხელშეკრულება „ღია საზოგადოების პოლიტიკის ცენტრსა“ და სოციალური სამართლიანობის ცენტრს შორის პროექტ „ქმედუნარიანობის ინსტიტუტის განხორციელების ხელშეწყობა საქართველოში“ განსახორციელებლად. პროექტის ხანგრძლივობაა 2018 წლის 1 ოქტომბრიდან 2020 წლის 1 ოქტომბრამდე. გრანტის ოდენობა შეადგენს 279,459 აშშ დოლარს. (OSPC- OR2018-45437).

2018 წლის 1 იანვარს გაფორმდა საგრანტო ხელშეკრულება „სექსუალური განათლების შევდურ ასოციაცია“-სა და სოციალური სამართლიანობის ცენტრს შორის პროექტ „ლგბტ პირთა უფლებების გაძლიერება, სქესობრივი და რეპროდუქციული ჯანმრთელობის საკითხების ადვოკატირება და ქვიარ აქტივისტთა მხარდაჭერა“ განხორციელების მიზნით. პროექტის ხანგრძლივობაა 2018 წლის 1 იანვრიდან 2022 წლის 31 დეკემბრამდე. გრანტის თანხამ შეადგინა 3,500,000 შვედური კრონი. 2020 წლის 26 მარტს ხელმოწერილი დამატების საფუძველზე პროექტის ბიუჯეტი გაიზარდა 430,000 შვედური კრონით. (RFSU-4401-040301-1801).

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები (გაგრძელება)

შენიშვნა 1: ორგანიზაციის შესახებ (გაგრძელება)

2018 წლის 30 აპრილს გაფორმდა საგრანტო ხელშეკრულება „ევროკავშირისა“ და სოციალური სამართლიანობის ცენტრს შორის პროგრამის „სასამართლო რეფორმის განხორციელების მხარდაჭერა“ განსახორციელებლად. პროგრამის ხანგრძლივობა: 2018 წლის 1 მაისიდან 2020 წლის 1 მაისამდე. გრანტის თანხამ შეადგინა 267,780.82 ევრო. (EU- ENI/2018/395-919).

2019 წლის 20 სექტემბერს გაფორმდა საგრანტო ხელშეკრულება „შვეიცარიის საგარეო საქმეთა სამინისტრო“-სა და სოციალური სამართლიანობის ცენტრს შორის პროექტზე „კახეთში, სამცხე-ჯავახეთსა და ქვემო ქართლში უმცირესობების მიმართ არსებული არასამართლიანი და სისტემატური დამოკიდებულებების წინააღმდეგ ბრძოლა“. პროექტის ხანგრძლივობა: 2019 წლის 1 ოქტომბრიდან 2021 წლის 30 სექტემბრამდე. პროექტის მთლიანი ბიუჯეტი განისაზღვრა 184,191.80 ევროთი, თუმცა შვეიცარიის საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ დაფინანსებული თანხის მაქსიმუმი განისაზღვრა 146,060 ევროთი. (SWISS).

2019 წლის 22 ნოემბერს გაფორმდა საგრანტო ხელშეკრულება „ფონდი ღია საზოგადოება-საქართველო“-სა და სოციალური სამართლიანობის ცენტრს შორის პროექტზე „სამართლიანი და ჰუმანური სისხლის სამართლის პოლიტიკის ჩამოყალიბება“. პროექტის ხანგრძლივობა: 2019 წლის 22 ნოემბრიდან 2020 წლის 22 ნოემბრამდე. გრანტის მთლიანი თანხა იყო 70,000 აშშ დოლარი. (OSGF-20961).

2019 წლის 28 მაისს გაფორმდა საგრანტო ხელშეკრულება „ფონდი ღია საზოგადოება - საქართველო“ და სოციალური სამართლიანობის ცენტრს შორის პროექტზე „საქართველოში სოციალური უფლებების მხარდაჭერა კვლევისა და იურიდიული მხარდაჭერის გზით“. გრანტის ხანგრძლივობა: 2019 წლის 28 მაისიდან 2020 წლის 28 თებერვლამდე. გრანტის თანხა შეადგენს 60,000 აშშ დოლარს. 2020 წლის 21 თებერვალს პროექტის ხანგრძლივობა გახანგრძლივდა 2020 წლის 30 აპრილამდე და 2020 წლის 30 აპრილს იმპლემენტაციის საბოლოო ვადამ კვლავ გადაიწია 2020 წლის 31 აგვისტომდე იმავე ბიუჯეტით. (OSGF-LDD/05/19-20905).

2020 წლის 3 იანვარს გაფორმდა საგრანტო ხელშეკრულება ჰაინრიხ ბიოლის ფონდის სამხრეთ კავკასიის რეგიონალურ ფილიალსა და სოციალური სამართლიანობის ცენტრს შორის პროექტზე „სამთო მრეწველობა და მასთან დაკავშირებული სოციალურ-ეკოლოგიური ასპექტები“. გრანტის ხანგრძლივობაა 2020 წლის 3 იანვრიდან 2020 წლის 25 დეკემბრამდე. გრანტის მთლიანი თანხაა 34,000 ევრო. (12421011)

2018 წლის 21 აგვისტოს გაფორმდა საგრანტო შეთანხმება „ნიდერლანდების სახელწიფოსა“ და სოციალური სამართლიანობის ცენტრს შორის პროექტ „რადომინანტი რელიგიური ჯგუფების უფლებების დაცვის მხარდაჭერა კვლევისა და მონაწილეობითი ადვოკატირების გზით“ განსახორციელებლად. პროექტის ხანგრძლივობა: 2018 წლის 01 სექტემბრიდან 2020 წლის 01 აპრილამდე. გრანტის მთლიანი ოდენობა შეადგენს 342,900 ლარს. (DUTCH-AVT16/BZ/120646B).

2020 წლის 1 ივლისს გაფორმდა საგრანტო ხელშეკრულება ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტსა და სოციალური სამართლიანობის ცენტრს შორის პროექტ „სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის ფუნქციონირების ხელშეწყობა“ განსახორციელებლად. გრანტის ხანგრძლივობაა 2020 წლის 24 ივნისიდან 2021 წლის 30 მაისამდე. საგრანტო თანხაა 18,000 აშშ დოლარი. (IDFI)

2020 წლის 1 აპრილს გაფორმდა საგრანტო ხელშეკრულება ისტ უესტ მენეჯმენტ ინსტიტუტსა და სოციალური სამართლიანობის ცენტრს შორის პროექტზე „მოწყვლადი“ ჯგუფებისთვის ადამიანის უფლებების პირობების გაუმჯობესება სტრატეგიული სამართალწარმოების გზით“. ხანგრძლივობა: 2020 წლის 1 აპრილიდან 2021 წლის 30 ივნისამდე. გრანტის თანხაა 38,163.82 აშშ დოლარი. (PROLoG 1696)

2020 წლის 25 მაისს გაფორმდა საგრანტო ხელშეკრულება საქართველოს ღია საზოგადოების ფონდსა და სოციალური სამართლიანობის ცენტრს შორის პროექტზე „ქვემო ქართლში მასწავლებლების, როგორც სოციალური ცვლილებების აგენტების, სათემო ცხოვრების პირობათა გაუმჯობესება“. გრანტის ხანგრძლივობაა 2020 წლის 25 მაისიდან 2021 წლის 31 მაისამდე. თანხა: 35,000 აშშ დოლარი. (NINT/04/20/-21064)

2019 წლის 25 სექტემბერს გაფორმდა საგრანტო ხელშეკრულება „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციასა“ და სოციალური სამართლიანობის ცენტრს შორის პროექტ „სახელმწიფოს ზოგადსაგანმანათლებლო პოლიტიკის გაუმჯობესების ხელშეწყობა-თანასწორობისა და გამჭვირვალობის უზრუნველყოფით“. გრანტის ხანგრძლივობა: 2019 წლის 2 აგვისტოდან 2020 წლის 2 აგვისტომდე. გრანტის თანხა 19,376 აშშ დოლარი. (GYLA-EINT/06/19-20926).

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები (გაგრძელება)

შენიშვნა 1: ორგანიზაციის შესახებ (გაგრძელება)

2020 წლის 15 მაისს გაფორმდა საგრანტო ხელშეკრულება საქართველოს ღია საზოგადოების ფონდსა და სოციალური სამართლიანობის ცენტრს შორის პროექტზე „შრომითი უფლებები პანდემიის დროს“. ხანგრძლივობა: 2020 წლის 15 მაისიდან 2020 წლის 11 ნოემბრამდე. თანხა: 15,000 აშშ დოლარი. **(LDD/08/20-21056)**

2020 წლის 25 მაისს გაფორმდა საგრანტო ხელშეკრულება ისტ უესტ მენეჯმენტ ინსტიტუტსა და სოციალური სამართლიანობის ცენტრს შორის პროექტზე „იუსტიციის ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება“. ხანგრძლივობა: 2020 წლის 25 მაისიდან 2021 წლის 24 ივნისამდე. თანხა: 30,210.31 აშშ დოლარი. **(G-1736-20-211-3024-20)**

2020 წლის 1 ივნისს გაფორმდა საგრანტო ხელშეკრულება გაეროს განვითარების პროგრამის წარმომადგენლობასა და სოციალური სამართლიანობის ცენტრს შორის პროექტზე „თვითდასაქმება და COVID-19“. გრანტის ხანგრძლივობაა 2020 წლის 1 ივნისიდან 2020 წლის 31 აგვისტომდე. თანხა: 10,000 აშშ დოლარი. **(UNDP-00095571)**

2020 წლის 13 ნოემბერს გაფორმდა საგრანტო ხელშეკრულება საქართველოს ღია საზოგადოების ფონდსა და სოციალური სამართლიანობის ცენტრს შორის პროექტზე „ფორმალურ და არაფორმალურ სექტორში დასაქმებულთა უფლებების გაუმჯობესება“. ხანგრძლივობა: 2020 წლის 13 ნოემბრიდან 2021 წლის 13 ნოემბრამდე. თანხა: 69,949.61 აშშ დოლარი. **(LDD/33/20-21140)**

2020 წლის 16 მარტს ხელი მოეწერა საგრანტო ხელშეკრულებას კონსულტაციისა და ტრენინგის ცენტრსა და სოციალური სამართლიანობის ცენტრს შორის პროექტზე „ოპოიდების ჩანაცვლებითი თერაპიის ხელმისაწვდომობა საქართველოს პენიტენციურ სისტემაში“. გრანტის პერიოდია 2020 წლის 16 მარტიდან 2020 წლის 15 ოქტომბრამდე. გრანტის საერთო თანხაა 40,984.53 ლარი. 2020 წლის 6 ოქტომბერს საგრანტო ხელშეკრულება მოდიფიცირდა და პროექტის ხანგრძლივობა გაიზარდა 2021 წლის 30 აპრილამდე. **(CTC_Plattf_020_002)**

2019 წლის 10 ოქტომბერს გაფორმდა საგრანტო ხელშეკრულება „საერთაშორისო საქმეთა ეროვნულ დემოკრატიული ინსტიტუტის საქართველოს ფილიალსა“ და სოციალური სამართლიანობის შორის პროექტ „არჩევნებისა და პოლიტიკური პროცესების მხარდაჭერა საქართველოში“ განსახორციელებლად. პროექტის ხანგრძლივობა: 2019 წლის 10 ოქტომბრიდან 2020 წლის 31 მარტამდე. გრანტის თანხა შეადგენს 26,958 ლარს. **(NDI - 72011419LA00001).**

2020 წლის 21 სექტემბერს ხელი მოეწერა საგრანტო ხელშეკრულებას ჰაინრიხ ბიოლის ფონდის სამხრეთ კავკასიის რეგიონალურ ფილიალსა და სოციალური სამართლიანობის ცენტრს შორის პროექტზე „კონფლიქტთა მშვიდობიანი ტრანსფორმაციის მხარდაჭერა, კონფლიქტის მთავარი მოტივატორის - ადამიანის უფლებების დისკურსის - შეცვლა და გაძლიერება“. გრანტის ხანგრძლივობაა 2020 წლის 21 სექტემბრიდან 2020 წლის 05 დეკემბრამდე. გრანტის საერთო თანხაა 3,800 ევრო. **(BOELL CC: 12425017)**

2018 წლის 12 ნოემბერს ფონდი „ღია საზოგადოება - საქართველოსა,“ და სოციალური სამართლიანობის ცენტრს შორის დაიდო გრანტის ხელშეკრულება პროექტის „სისტემური რეფორმების ხელშეწყობა სამართალდამცავ ორგანოებში“ განსახორციელებლად. პროექტის ხანგრძლივობის პერიოდია 2018 წლის 12 ნოემბრიდან 2019 წლის 12 ნოემბრამდე. გრანტის მთლიანი ოდენობა შეადგენს 87,000 აშშ დოლარს. **(OSGF-MED/13/18-20839).**

2018 წლის 28 აგვისტოს გაფორმდა საგრანტო ხელშეკრულება „ღია საზოგადოების ფონდ“-სა და სოციალური სამართლიანობის ცენტრს შორის პროექტ „სოციალური სამართლიანობა კრიზისის დროს“ განსახორციელებლად. პროექტის ხანგრძლივობა: 2018 წლის 1 სექტემბრიდან 2019 წლის 31 აგვისტომდე. გრანტის მთლიანი ოდენობა შეადგენს 68,933 აშშ დოლარს. **(OSF- OR2018-41038).**

2018 წლის 8 ნოემბერს გაფორმდა საგრანტო ხელშეკრულება „ფონდი ღია საზოგადოება - საქართველოსა“ და სოციალური სამართლიანობის ცენტრს შორის პროექტ „ქვემო ქართლსა და პანკისში ადგილობრივი აქტივისტების კრიტიკული ცოდნისა და მონაწილეობის მხარდაჭერა“ განსახორციელებლად. პროექტის ხანგრძლივობა: 2018 წლის 8 ნოემბრიდან 2019 წლის 10 ოქტომბრამდე. გრანტის მთლიანი ოდენობა შეადგენს 25,000 აშშ დოლარს. **(OSGF-NINT/07/18-20827).**

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები (გაგრძელება)

შენიშვნა 1: ორგანიზაციის შესახებ (გაგრძელება)

2017 წლის 1 აგვისტოს გაფორმდა საგრანტო ხელშეკრულება “USAID PROLoG” -სა და სოციალური სამართლიანობის ცენტრს შორის პროექტზე “სტრატეგიული სამართალწარმოების გზით ადამიანის უფლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესება მოწყვლადი ჯგუფებისთვის”. გრანტის თანხამ შეადგენდა 115,344 აშშ დოლარი. პროექტის ხანგრძლივობა: 2017 წლის 1 აგვისტოდან 2019 წლის 28 თებერვლამდე. **(G-1426-17-211-3024-20)**.

2018 წლის 30 იანვარს გაფორმდა საგრანტო ხელშეკრულება “ევროპული პარტნიორობა დემოკრატიისთვის ASBL”-სა და სოციალური სამართლიანობის ცენტრს შორის პროგრამის „მედიაციის მექანიზმის გაუმჯობესება - INSPIRED + Georgia“ განსახორციელებლად. პროგრამის ხანგრძლივობა: 2018 წლის 1 თებერვლიდან 2019 წლის 21 აპრილამდე. გრანტის თანხამ შეადგინა 55,000 ევრო. **(EPD/SUB-EMC/2018-01)**.

2017 წლის 22 სექტემბერს გაფორმდა საგრანტო ხელშეკრულება „ფონდი ღია საზოგადოება-საქართველო“-სა და სოციალური სამართლიანობის ცენტრს შორის პროგრამის „შრომის და დასაქმების სფეროში მოწყვლადი ჯგუფების თანასწორობის ხელშეწყობა“ განსახორციელებლად. გრანტის თანხამ შეადგინა 16,226.5 აშშ დოლარი, ხოლო პროგრამის ხანგრძლივობა: 2017 წლის 22 სექტემბრიდან 2018 წლის 22 ივნისამდე. **(OSGF-EINT/09/17-20645)**.

2018 წლის 18 ოქტომბერს გაფორმდა საგრანტო ხელშეკრულება „პარტნიორობა ადამიანის უფლებებისათვის“ და სოციალური სამართლიანობის ცენტრს შორის პროექტ “თანასწორი გარემოს ხელშეწყობა ანტიდისკრიმინაციული მექანიზმის გამოყენებით“. პროექტის ხანგრძლივობა: 2018 წლის 17 ოქტომბრიდან 2019 წლის 17 ოქტომბრამდე. გრანტის მთლიანი თანხა არის 15,000 აშშ დოლარი. **(PHR Sub-Grants)**.

2018 წლის 2 აპრილს გაფორმდა საგრანტო ხელშეკრულება “ფონდი ღია საზოგადოება - საქართველოსა” და სოციალური სამართლიანობის ცენტრს შორის პროექტ „სისტემის რეფორმების ადვოკატირება სამართალდამცავ სისტემაში“ განსახორციელებლად. პროექტის ხანგრძლივობა: 2018 წლის 2 აპრილიდან 2019 წლის 2 აპრილამდე. გრანტის მთლიანი ოდენობა შეადგენს 47,509 აშშ დოლარს. **(OSGF-HR/02/18- 20771)**.

2019 წლის 7 თებერვალს გაფორმდა საგრანტო ხელშეკრულება “გაერთიანებული ერების ოფისი პროექტების განვითარებისათვის“-ა და სოციალური სამართლიანობის ცენტრს შორის პროექტ “იურიდიული დახმარება, კომუნიკაცია და არსებობისათვის საჭირო ხარჯები“ განსახორციელებლად. პროექტის ხანგრძლივობა: 2019 წლის 7 თებერვლიდან 2019 წლის 30 ივნისამდე. გრანტის თანხა შეადგენს 7,820 ევროს. **(EIDHR/2019/11-2)**.

შენიშვნა 2: სააღრიცხვო პოლიტიკა

(ა) ფინანსური ანგარიშგების წარდგენის საფუძვლები

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების ფინანსური ანგარიშგების სტანდარტის (ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის უფროსის ბრძანება №9) მიხედვით.

ორგანიზაციის სააღრიცხვო პოლიტიკის შესაბამისად, წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადდა დარიცხვის პრინციპის და ისტორიული ღირებულების პრინციპების გამოყენებით.

პირვანდელი ღირებულების პრინციპის მიხედვით აქტივების აღრიცხვა ხდება მათი შეძენის დროს გადახდილი ფულადი სახსრების ან მათი ეკვივალენტების ოდენობით, ან იმ რეალური ღირებულებით, რომელიც უნდა გადახდილიყო მათი შეძენის მომენტში. ვალდებულებები აღრიცხვით იმ აქტივის თანხის სიდიდით, რომელიც მიღებულია მოცემული ვალდებულების სანაცვლოდ; ზოგიერთ შემთხვევაში კი იმ თანხით, რომლის ორგანიზაციიდან გასვლა მოსალოდნელია ამ ვალდებულების დასაფარად ორგანიზაციის ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში.

დარიცხვის მეთოდის თანახმად, სამეურნეო ოპერაციების შედეგებისა და სხვა მოვლენების აღიარება ხდება მათი მოხდენისთანავე (და არა ფულადი სახსრებისა და მისი ეკვივალენტების მიღებისა და გადახდის დროს). ამასთან, ისინი ტარდება სათანადო ბუღალტრულ დოკუმენტებში და აისახება იმ პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაში, რომელსაც განეკუთვნებიან.

(ბ) შეფასებების გამოყენება

ფინანსური ანგარიშგების მომზადება მოითხოვს შეფასებების გაკეთებას, რომლებიც გავლენას ახდენენ ანგარიშგებაში წარმოდგენილი აქტივებისა და ვალდებულებების თანხებზე, შესრულებული ოპერაციების შედეგად წარმოქმნილი ფინანსური ანგარიშგების შედგენის თარიღისათვის არსებული პირობითი აქტივებისა და ვალდებულებების მოცულობაზე და საანგარიშო პერიოდში წარმოდგენილი შემოსავლებისა და ხარჯების თანხებზე. მიუხედავად იმისა, რომ ეს მაჩვენებლები ეყრდნობა მენეჯმენტის მხრიდან არსებული მოვლენებისა და ქმედებების ცოდნას, ფაქტობრივი შედეგები შესაძლოა საბოლოო ჯამში განსხვავდებოდეს ამ შეფასებებისაგან.

(გ) ფინანსური ანგარიშგების საოპერაციო და საანგარიშგებო ვალუტა

ორგანიზაციის საოპერაციო და სააღრიცხვო ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი. თუმცა, ზოგიერთი გრანტი დონორისგან მიღებულია ევროში, შვედურ კრონსა და დოლარში. მართალია, ზოგიერთი ფინანსური რეპორტი დონორთან წარდგენილია ევროსა და დოლარში, თუმცა ანგარიშგება მზადდება ლარებში. ძირითადი ოპერაციები სრულდება ქართულ ლარში.

(დ) უცხოური ვალუტის გადაფასება

უცხოურ ვალუტაში გამოსახული გარიგებები აღირიცხება იმ გაცვლითი კურსის შესაბამისად, რომელიც არსებობს ოპერაციის თარიღისათვის. უცხოურ ვალუტაში გამოსახული გარიგების განხორციელების შედეგად წარმოქმნილი გაცვლითი კურსის სხვაობები აისახება საქმიანობის შედეგების ანგარიშგებაში იმ დღისათვის არსებული გაცვლითი კურსის შესაბამისად.

უცხოურ ვალუტაში გამოსახული ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაყვანილია ქართულ ლარებში საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღისათვის გამოცხადებული ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად. 2020 წლის 31 დეკემბრისათვის უცხოური ვალუტის ნაშთების ლარებში გადაყვანისათვის გამოყენებული ძირითადი განაკვეთი იყო:

	დეკემბერი 31, 2020	დეკემბერი 31, 2019
ლარი / 1 აშშ დოლარი	3.2766	2.8766
ლარი / 1 ევრო	4.0233	3.2095
ლარი / 10 შვედური კრონა	4.0068	3.0700

შენიშვნა 2: სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

(ე) საგრანტო შემოსავალი და გადავადებული გრანტი

ორგანიზაცია დონორისგან მისაღებ, ხელშეკრულებით განსაზღვრულ თანხებს აღრიცხავს როგორც გადავადებულ გრანტს. ხოლო პროგრამის შესაბამისი დანახარჯების გაწევის და მათი აღიარების შემდეგ, შესაბამისი თანხით მცირდება გადავადებული გრანტის ოდენობა და ხდება ამ თანხის შემოსავლად აღიარება.

(ვ) ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები შედგება ბანკში არსებული ფულადი სახსრებისგან.

(ზ) გადასახადები

სოციალური სამართლიანობის ცენტრი, როგორც არასამთავრობო, არაკომერციული ორგანიზაცია, იხდის შემდეგ გადასახადებს:

- **საშემოსავლო გადასახადი (20%)** - აღნიშნული გადასახადი გადაიხდება მთლიანი ხელფასიდან და მასთან დაკავშირებული შეღავათებიდან, რომლებიც თანამშრომლებზე გაიცემა საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად. აღნიშნული გადასახადი ხარჯების ანგარიშგებაში შედის, როგორც ხელფასის შემადგენელი ნაწილი და მასთან დაკავშირებული შეღავათები.

უკუდაბეგვრის წესით დარიცხული დღგ (18%) – აღნიშნული გადასახადი გადაიხდება:

- ა) საგადასახადო აგენტისათვის არარეზიდენტი ფიზიკური პირის ან არარეზიდენტის საწარმოს მიერ საქართველოს ტერიტორიაზე გაწეულ მომსახურებაზე;
- ბ) პირის მიერ სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფის ღონისძიების ფარგლებში მოთხოვნის უზრუნველყოფის საგნის (საქონლის) კრედიტორისათვის საკუთრებაში გადაცემა;
- გ) საგადასახადო აგენტისათვის საქართველოს ტერიტორიის გარეთ გაწეული მომსახურების ან/და საქონლის პროდუქტის (საპროექტო დოკუმენტაცია, ტექნიკური დოკუმენტაცია, ტექნოლოგიური სქემა, პროგრამა და სხვა) მიწოდება ინტერნეტით ან ელექტრონული კომუნიკაციის სხვაგვარი საშუალებით, თუ იგი არ კვეთს საქართველოს საბაჟო საზღვარს ინტეგრირებული სექტორის ან სხვა სახის ინფორმაციის მატარებლის საშუალებით;
- დ) საბაჟო საწყოში საქართველოს საგადასახადო კოდექსის 162-ე მუხლის მე-7 ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევაში პირისგან შეძენილი უცხოური საქონელი, რომელიც იმპორტის სასაქონლო ოპერაციაში ექცევა.

საპენსიო სქემა - 2018 წლის 21 ივნისს საქართველომ მიიღო კანონი საპენსიო ფონდის შესახებ, რომელიც ძალაში შევიდა 2019 წლის 1 იანვრიდან. დაგროვებითი საპენსიო სქემა 6% -იან შენატანს ითვალისწინებს. კერძოდ, დასაქმებული თავისი დასაბეგრი ხელფასის 2% -ს გადარიცხავს ინდივიდუალურ საპენსიო ანგარიშზე, დამსაქმებელი ასევე გადარიცხავს დამატებით 2% -ს, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტიდან გადარიცხება კიდევ 2%, როგორც დამსაქმებელი, ორგანიზაცია გადარიცხავს 2% -ს თავის მხრივ და ეს გადასახადები არ არის მოცემული 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარდგენილ ფინანსურ ანგარიშგებაში.

(თ) ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები

ძირითადი საშუალებები მოცემულია ისტორიული ღირებულებით, რომელიც შემცირებულია დაგროვილი ცვეთით. ისტორიული ღირებულება მოიცავს აქტივის შეძენასთან პირდაპირ დაკავშირებულ დანახარჯებს. ძირითადი საშუალებების ცვეთა გამოითვლება შემცირებადი ნაშთის მეთოდით მთელი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. სასარგებლო მომსახურების ვადები განისაზღვრება შემდეგნაირად:

აქტივების ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადა
კომპიუტერი და ტექნიკა	2 - 5 წელი
სხვა ძირითადი საშუალებები	2 - 5 წელი
არამატერიალური აქტივები	2 - 5 წელი

შენიშვნა 2: სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

(თ) ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები (გაგრძელება)

ძირითადი საშუალებების გაყიდვა/ჩამოწერასთან დაკავშირებული მოგება ან ზარალი დგინდება ნარჩენ ღირებულებაზე დაყრდნობით და გაითვალისწინება მიმდინარე მოგების განსაზღვრისას. ძირითადი საშუალებების მომსახურების ხარჯები ასახულია საქმიანობის შედეგების ანგარიშგებაში, ხარჯების გაწევის მომენტში.

(ი) წმინდა აქტივების კლასიფიკაცია

წმინდა აქტივები შედგება შეუზღუდავი წმინდა აქტივებისა და დროებით შეზღუდული წმინდა აქტივებისაგან:

შეუზღუდავი წმინდა აქტივები – წარმოადგენს ორგანიზაციის ფონდების იმ შემოსავლებს და დონორისგან მიღებულ იმ შენატანებს, რომლებზეც არ ვრცელდება დონორის შეზღუდვები. ეს წმინდა აქტივები ორგანიზაციისთვის ხელმისაწვდომია საოპერაციო მიზნებისათვის.

დროებით შეზღუდული წმინდა აქტივები – წარმოადგენს ორგანიზაციის ფონდების იმ ნაწილს, რომელიც შექმნილია აქტივების შენატანებით და სხვა წყაროებით, რომელთა გამოყენება ორგანიზაციის განსაზღვრული აქვს დონორის მიერ დაწესებული შეზღუდვებით, რომელიც იწურება დროთა განმავლობაში, ასევე ორგანიზაციის მიერ შეიძლება სხვაგვარად შესრულდეს ან გაუქმდეს;

მუდმივად შეზღუდული წმინდა აქტივები – წარმოადგენს ორგანიზაციის ფონდების იმ ნაწილს, რომელიც შექმნილია აქტივების შენატანებით და სხვა წყაროებით, რომელთა გამოყენება ორგანიზაციის განსაზღვრული აქვს დონორის მიერ დაწესებული შეზღუდვებით, რომელიც არ იწურება დროთა განმავლობაში, ასევე ორგანიზაციის მიერ არ შეიძლება სხვაგვარად შესრულდეს ან გაუქმდეს;

(კ) შემოსავალი

შემოსავლებში იგულისხმება შეუზღუდავი და დროებით შეზღუდული ფონდის შესავსებად განხორციელებული შენატანები, საწევრო შენატანები, შემოწირულობები, დივიდენდები, პროცენტები და სხვა სახის სარგებელი, რომელიც ზრდის ორგანიზაციის კომპანიის ფონდებს. შემოსავლების აღიარება უნდა მოხდეს გრანტით დასაფარავი დანახარჯების ან ხარჯების აღიარების პროპორციულად ისე, რომ უზრუნველყოფილ იქნეს გრანტით დასაფარავი ხარჯებისა და შემოსავლების შესაბამისობა.

შენიშვნა 3: ნაღდი ფული და ბანკი

ფული ბანკში ვალუტების მიხედვით

	31-დეკ-2020	31-დეკ-2019
ლარი	246,480	458,799
აშშ დოლარი	122,763	177,108
ევრო	614	151,424
სულ ნაღდი ფული და ბანკი	369,858	787,331

შენიშვნა 4: მისაღები გრანტები

	31-დეკ-2020	31-დეკ-2019
RFSU-4401-040301-1801	579,894	564,916
EPD_918	354,699	7,840
OSGF_21140	107,079	-
OSGF_21064	42,506	-
PROLOG - 1736	42,035	-
USAID (PROLOG)	40,874	-
AVT16/BZ120646B	17,300	17,300
CTC_PLATF_020_002	6,014	-
საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია	-	22,649
BOELL-12421003	-	168
DEP. F. AUSW. ANGELEGENHEITEN EDA	-	286,903
OSF- OR2018-45437	-	152,180
EU- ENI/2018/395-919	-	130,343
OSGF 20961	-	93,418
OSGF20905	-	39,137
ეროვნული დემოკრატიული ინსტიტუტი	-	8,087
პარტნიორობა ადამიანის უფლებებისთვის	-	(385)
სულ მისაღები გრანტები	1,190,400	1,322,557

შენიშვნა 5: ძირითადი საშუალებები

2020 წელი

	კომპიუტერული ტექნიკა	სხვა აქტივები	ჯამი
ისტორიული ღირებულება			
ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბრისთვის	70,196	21,816	92,012
შეძენა	2,050	9,200	11,250
ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბრისთვის	72,246	31,016	103,262
აკუმულირებული ცვეთა			
ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბრისთვის	35,942	18,232	54,174
წლის ცვეთა	910	9,771	10,681
ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბრისთვის	36,852	28,003	64,855
ნეტო ღირებულება			
ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბრისთვის	34,254	3,583	37,838
ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბრისთვის	35,394	3,013	38,407

შენიშვნა 5: ძირითადი საშუალებები (გაგრძელება)

2019 წელი

	კომპიუტერები და ტექნიკა	სხვა აქტივები	ჯამი
ისტორიული ღირებულება			
ნაშთი 2018 წლის 31 დეკემბრისთვის	56,801	15,529	72,330
შემენა	13,395	6,286	19,681
ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბრისთვის	70,196	21,816	92,011
აკუმულირებული ცვეთა			
ნაშთი 2018 წლის 31 დეკემბრისთვის	33,866	7,444	41,311
წლის ცვეთა	2,076	10,787	12,864
ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბრისთვის	35,942	18,232	54,175
ნეტო ღირებულება			
ნაშთი 2018 წლის 31 დეკემბრისთვის	22,934	8,085	31,019
ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბრისთვის	34,254	3,583	37,838

შენიშვნა 6. გადავადებული შემოსავალი

	31-დეკ-2020	31-დეკ-2019
RFSU-4401-040301-1801	558,351	639,231
SWISS	290,899	442,935
OSGF21140	202,334	-
OSF- OR2018-45437	111,886	367,599
OSGF20961	98,045	202,599
PROLoG1696	48,861	-
PROLoG1736	51,307	-
OSGF21064	49,477	-
IPHR	47,280	-
IDFI	34,392	-
CTC	25,971	-
OSGF20905	-	100,943
GYLA	-	48,661
NDI	-	16,032
BOELL	-	77
DUTCH-AVT16/BZ/120646B	-	64,773
EU- ENI/2018/395-919	-	212,893
სულ გადავადებული შემოსავალი	1,518,803	2,094,373

შენიშვნა 7: გადავადებულ გრანტებში მოძრაობა

	31-დეკ-2020	31-დეკ-2019
გადავადებული გრანტის საწყისი ნაშთი	2,094,373	3,266,741
დამატებული: პერიოდში გაფორმებული ხელშეკრულებები	1,456,650	1,086,806
გამოკლებული: პერიოდის შემოსავლებში გადატანილი		
გადავადებული გრანტები	(2,032,220)	(2,259,174)
გადავადებული გრანტის საბოლოო ნაშთი	1,518,803	2,094,373

შენიშვნა 8: ანარიცხები და პირობითი ვალდებულებები

სასამართლო საქმეების წარმოება

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის ორგანიზაცია არ იყო ჩართული სამართალწარმოებაში.

საგადასახადო კანონმდებლობა

საქართველოს საგადასახადო, სავალუტო და საბაჟო კანონმდებლობაში არის არაერთმნიშვნელოვანი დებულებები, რომლებიც ტოვებს მათი სხვადასხვაგვარი ინტერპრეტირების შესაძლებლობას. კანონმდებლობის მოთხოვნების მენეჯმენტის მიერ მიღებული ინტერპრეტაცია, რომელიც გამოიყენება ორგანიზაციის ტრანზაქციებისა და საქმიანობის აღრიცხვისა და მართვისათვის შეიძლება ექვემდებარება ან არასწორად იქნეს მიჩნეული რეგიონალური და ცენტრალური მარეგულირებელი ორგანოების მიერ. დასაშვებია, რომ საგადასახადო ორგანოები უფრო ხისტად დაიცვენ კანონმდებლობის მოთხოვნების საკუთარ ინტერპრეტაციას. შედეგად, შესაძლოა დარიცხულ იქნას მნიშვნელოვანი დამატებითი გადასახადები, ჯარიმები და პროცენტები

საოპერაციო გარემო

ბოლო წლების განმავლობაში, საქართველომ განიცადა სერიოზული პოლიტიკური და ეკონომიკური ცვლილებები. როგორც განვითარებად ბაზარს, საქართველოს არ გააჩნია კარგად განვითარებული კომერციული ინფრასტრუქტურა, რომელიც ზოგადად უფრო განვითარებულ ბიზნეს ბაზარზე არსებობს. კანონები და რეგულაციები, რომლებიც გავლენას ახდენენ ქვეყანაში მოქმედ ბიზნესებზე ექვემდებარება სწრაფ ცვლილებას. გარდა ამისა, ეკონომიკური სტაბილურობის გაგრძელება დამოკიდებულია მეტწილად მთავრობის მიერ მიღებულ ფისკალური ზომების ეფექტურობაზე, საერთაშორისო საკრედიტო ორგანიზაციების გადაწყვეტილებებსა და ორგანიზაციის კონტროლს მიღმა სხვა ქმედებებზე.

შენიშვნა 9: საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები

მნიშვნელოვანი მოვლენები, რომლებიც შეიძლება წარმოდგენილი იყოს ამ ფინანსურ ანგარიშგებაში ანგარიშგების დღიდან ავტორიზაციის დღემდე, დაკავშირებულია ეკონომიკურ სირთულეებთან, რომლებიც შესაძლოა წარმოიშვას ახალი კორონავირუსის გავრცელების შედეგად (COVID-19). მიუხედავად ამისა, ორგანიზაციის მენეჯმენტის შეფასებით, COVID-19-სგან გამოწვეული რისკები ვერ მოახდენენ მნიშვნელოვან გავლენას ორგანიზაციის უნარზე, განაგრძოს ფუნქციონირება უახლოეს მომავალში. ასევე, რისკის შეფასების დაბალი დონის დამატებითი არგუმენტია ის ფაქტი, რომ ორგანიზაციამ 2020 წელს COVID-19– ით გამოწვეული ეკონომიკური სირთულეები წარმატებით გადაჭრა.

- დოკუმენტის დასასრული -